დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, თსუ -ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2024 წლის 25 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2024 წლის 12 აგვისტო

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანუ ანა ჯოსანი QFBA (კატარის ფონდის ბიზნეს აკადემია) ნორტუმბრიის უნივერსიტეტი, კატარი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოფიო ხუნდაძე შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაია ჭინჭარაშვილი შპს საქართველოს რკინიგზა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ტატო ლაფაური შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ (ებ) ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	"ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Finances (International School of Economics at TSU (ISET), Program in English)
უმაღლესი განათლების საფეხური	**მაგისტრატურა**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	VII
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა 0412**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	(არ არის მითითებული)
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება N559045; 30/05/2022
პროგრამაზე დაშვების დამატებითი პირობები (სამხატვრო- შემოქმედებითი ან / და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტური / შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების / პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

ISET - ის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა შემუშავდა გლობალურ დონეზე ფინანსური სექტორის მზარდი მნიშვნელობის და კავკასიის რეგიონში დარგის კვალიფიციური სპეციალისტების საჭიროების საპასუხოდ. პროგრამაზე სტუდენტების პირველი მიღება განხორციელდა 2023 წლის 25 სექტემბერს. ეს არის ორწლიანი ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელიც შედგება 120 კრედიტისგან, დაყოფილია სავალდებულო და არჩევით კურსებად და ითვალისწინებს სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომს. ISET-ის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამას, 2022 წლის 30 მაისს, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია ოთხი წლის ვადით, ექვსი რეკომენდაციის შესრულების პირობით. აღნიშნული რეკომენდაციები ითვალისწინებდა შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნებას, პრაქტიკული და სალექციო საათების ლოგიკურ განაწილებას და დაშვების წინაპირობების გადახედვას. აკრედიტაციის უკუკავშირის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები, რომლის ფარგლებშიც გაიზარდა პრაქტიკული საათები, განხორციელდა შეფასების კომპონენტების გამრავალფეროვნება და წინაპირობების გადახედვა. სტუდენტების პრაქტიკული შესაძლებლობების და სტაჟირების უზრუნველყოფის მიზნით განახლდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან. პროგრამა ეფუძნება "Chartered Financial Analyst" (CFA) სასწავლო გეგმას, რომელიც მოიცავს პროგრამის სასწავლო გეგმის შინაარსის 70% - ს. ISET - მა 2024 წლის ივლისში მიიღო CFA ინსტიტუტთან აფილირება, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს ნაჩვენები ელექტრონული ფოსტით მიღებული წერილის მეშვეობით. პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შეიცვალა სახელწოდება "ფინანსები (თსუ - ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), ინგლისურენოვანი პროგრამა)". ISET მიზნად ისახავს მიიღოს საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრირების აკრედიტაციის (FIBAA) ორგანიზაციის საერთაშორისო აკრედიტაცია "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ ოთხი წლის ვადით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2024 წლის 19 ივლისს განხორციელებული წინამოსამზადებელი შეხვედრის შემდგომ, 2024 წლის 25 ივლისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET) განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები ვიცე-რექტორებთან, თსუ-ს ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელთან, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანთან და ISET-ის დირექტორთან, რასაც მოჰყვა დისკუსია თვითშეფასების ჯგუფთან. შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

პროგრამის ხელმძღვანელებს და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომელთაგან ორი დაესწრო ზუმის პლატფორმის საშუალებით. მოგვიანებით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა მოქმედ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს და მიიღო მნიშვნელოვანი უკუკავშირი პროგრამის შესახებ. ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსების შეფასების მიზნით განხორციელდა მატერიალური რესურსების საფუძვლიანი დათვალიერება, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ყველა სართული, მათ შორის ბიბლიოთეკა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიები და სალექციო ოთახები და ასევე გადაამოწმა ონლაინ პორტალები და ონლაინ რესურსები. ექსპერტთა ჯგუფი ასევე შეხვდა ძირითად დამსაქმებლებს, რათა განეხილათ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობები და საქმიანობა, ვიზიტი დასრულდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრით. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დადგენილი სტანდარტების მიხედვით ასეთია:

- სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა:
  პროგრამა სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს მიზნების და შედეგების შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან.
- სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა: პროგრამა სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სწავლების მეთოდები და ორგანიზაცია კარგად არის სტრუქტურირებული და აკმაყოფილებს შინაარსის ათვისების აუცილებელ სტანდარტებს.

    - კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება: პროგრამა მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, რაც მიუთითებს პრაქტიკული უნარების უფრო მეტად განვითარების საჭიროებაზე.

- სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა: პროგრამა სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც გამოიხატება სტუდენტების მიღწევების და ინდივიდუალური მუშაობის დაკვირვებით და მხარდაჭერით.

    - კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა: პროგრამა მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, რაც იმას გულისხმობს, რომ მაღალი საფეხურის სტუდენტების ხელმძღვანელობის პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას.

- სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა: პროგრამა სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც გამოიხატება საჭირო სასწავლო რესურსების ადეკვატურ უზრუნველყოფაში.

- o კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი: პროგრამა მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, რაც მიუთითებს ადამიანური რესურსების განაწილების ან მართვის გაუმჯობესების საჭიროებაზე.

- სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები: პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც ასახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ძლიერ შესაძლებლობებს.

სტანდარტები მეტწილი შესაბამისობით:

- **რეკომენდაციები**

2.2.1 რეკომენდებულია, ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, გაიზარდოს შემაჯამებელი პროექტის (Capstone Project) კრედიტების რაოდენობა მინიმუმ 5 ECTS კრედიტამდე, რაც თავის მხრივ გაზრდის ორგანიზაციებში სტუდენტების დატვირთვას და უკეთ შეუწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას.

3.2.1 სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესის და კვლევის შედეგების ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ISET-ის შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში დაზუსტდეს ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობა.

4.1.1 რეკომენდებულია პერსონალის დატვირთვის სქემა მოიცავდეს ინფორმაციას არა მხოლოდ სწავლების, არამედ სამეცნიერო - კვლევითი და სხვა დატვირთვის შესახებ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქცია - მოვალეობების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებდეს სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილ საათებს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

2.4.1 შეფასების პროცესში სიცხადის და სამართლიანობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დაზუსტდეს და დეტალურად აღინიშნოს ქულობრივი კრიტერიუმები.

3.1.1 სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა და მონაწილეობა პროგრამების თვითშეფასების პროცესში.

4.1.2 სასურველია, დაწესებულებამ სამომავლოდ გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

4.2.1 სასურველია, მაგისტრატურის სტუდენტებს მიაწოდონ პოტენციური ხელმძღვანელების სია, შესაბამისი კვლევის სფეროების მიხედვით.

4.4.1 როგორც საერთაშორისო პროგრამას, სასურველია ჰქონდეს გაუმჯობესებული წვდომა

საერთაშორისო ფინანსურ მონაცემთა ბაზებზე, როგორიც არის Bloomberg ან Refinitiv, რათა გადაიჭრას ამჟამინდელი დამოკიდებულება მხოლოდ ადგილობრივ მონაცემთა წყაროებზე წვდომის და ყოვლისმომცველ საერთაშორისო მონაცემების ანალიზზე შეზღუდული წვდომის საკითხი.

4.5.1 სტუდენტების ჩარიცხვის საჭირო დონის მიღწევისა და ბიუჯეტის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია მეტი სტუდენტის მოზიდვა, მარკეტინგული აქტივობების განხორციელება, სოციალური მედიის პლატფორმების გამოყენება და სხვა აუცილებელი სარეკლამო სტრატეგიების განხორციელება.

5.1.1 სასურველია, შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფორმალიზებული სტრუქტურა პროგრამის უწყვეტი განვითარების პროცესებში.

5.1.2 სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის გუნდთან ერთად განახორციელოს პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი დარგობრივ მახასიათებელთან და გაითვალისწინოს დარგთან დაკავშირებული სხვა ტენდენციები, იმისათვის, რომ გააძლიეროს პროგრამის უწყვეტი განვითარება და შეუფერხებელი და ეფექტური განხორციელება PDCA ციკლის ფარგლებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ჩანს დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია, რაც მისასალმებელია. დაწესებულებამ დაეთანხმა პირველ (2.2.1) რეკომენდაციას და, შესაბამისად, მიიჩნევს, რომ იგი არ საჭიროებს დამატებით განმარტებას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს სურს კონკრეტულად განმარტოს რეკომენდაცია სამუშაო დატვირთვასთან დაკავშირებით (რეკომენდაცია 3, 4.1.1). მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებაში ასახულია სამეცნიერო აქტივობები, მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო დატვირთვის ინფორმაცია მოიცავდეს პერსონალის ყველა რელევანტურ საქმიანობას. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა მოიცავდეს დეტალებს არა მხოლოდ სასწავლო, არამედ სამეცნიერო-კვლევითი და სხვა მოვალეობების შესახებ, ასევე სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილ საათებს. დაწესებულების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით გახლავთ, რომ სტუდენტთა საკონსულტაციო საათები უკვე წარმოადგენს სავალდებულო პრაქტიკას ISET-ის ფინანსების პროგრამაში, კონკრეტული საათები კი მითითებულია სილაბუსებსა და შრომით ხელშეკრულებებში. თუმცა, მოწვეული პერსონალის შემთხვევაში საკონსულტაციო საათების რაოდენობა მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული მათ ხელშეკრულებებში. რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევით დატვირთვას, ის უკვე განსაზღვრულია

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

როგორც აკადემიური პერსონალის მოვალეობების 50%, ხოლო მოწვეული პერსონალისთვის სამეცნიერო კვლევა არ წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას და არ უნდა შედიოდეს მათ სრულ დატვირთვაში.

დამატებით, მეორე რეკომენდაციასთან (3.2.1) დაკავშირებით, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში დააკონკრეტა ხელმძღვანელ-სტუდენტის მისაღები თანაფარდობა სამაგისტრო ნაშრომებისთვის, უნივერსიტეტის სტანდარტის შესაბამისად - არაუმეტეს ხუთი სტუდენტისა ერთ ხელმძღვანელზე, რაც დამაკმაყოფილებელია. თუმცა, ეს რეკომენდაციად რჩება შემდეგი მიზეზების გამო: პირველ რიგში, ინტერვიუების დროს სტუდენტისა და ხელმძღვანელის თანაფარდობა არ იყო დაკონკრეტებული, და პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს გამოწვეული იყო პროგრამის სიახლით, რადგან ISET-ს ჯერ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული ხელმძღვანელობის ფორმალური პროცესი აღნიშნული პროგრამისთვის. იმ დროისთვის დაწესებულება არ იყო შეთანხმებული ამ საკითხთან დაკავშირებით. მეორე და უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტამდე ან ვიზიტის დროს არ მიუღია რაიმე დოკუმენტაცია, რომელიც ნათლად აღწერდა სტუდენტისა და ხელმძღვანელის თანაფარდობას. შესაბამისად, დოკუმენტები, რომლებიც არ იყო ხელმისაწვდომი ჩვენთვის ვიზიტამდე ან ვიზიტის დროს, ვერ ჩაითვლება ამ რეკომენდაციის უარყოფის საფუძვლად. ვინაიდან ISET დაწესებულებისგან გარკვეული ავტონომიით სარგებლობს, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესისა და კვლევის შედეგების ხარისხის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ეს თანაფარდობა დაკონკრეტდეს ISET-ის შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ISET-ის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს და სტუდენტზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლების მიწოდებით, კვლევითი პოტენციალის გაზრდით და ორგანიზაციული ეფექტურობის და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობით მხარს უჭერს როგორც თსუ-ს, ასევე ISET - ის სტრატეგიულ მიმართულებებს და მიზნებს. თსუ - ის სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით, რასაც წარმოადგენს მდგრადი, მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზება და საერთაშორისო დონის კვლევის წახალისება, პროგრამა უზრუნველყოფს მისი კურსდამთავრებულების მზაობას ფინანსური სექტორის მოთხოვნებისთვის. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ორიენტირებულია ფინანსებში კონკრეტული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე. მას შეაქვს წვლილი საქართველოს და რეგიონის ფინანსურ განვითარებაში და ითვალისწინებს ფინანსური სექტორის საჭიროებებს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევები და გამოკითხვები, როგორიც არის „საწარმოთა მოთხოვნილი უნარების კვლევა“, მიუთითებს კვალიფიციური ფინანსური პროფესიონალების მაღალ მოთხოვნაზე. ფინანსური სექტორი მე-4 ადგილს იკავებს თანამშრომელთა მომზადების საჭიროებების მიხედვით, რაც ხაზს უსვამს შესაბამისი უნარების მქონე კურსდამთავრებულის მნიშვნელობას. გარდა ამისა, ISET-ის მიერ განხორციელებულმა გამოკითხვამ ეკონომიკის სექტორში მოქმედ მნიშვნელოვან ორგანიზაციებთან გამოავლინა, რომ გამოკითხულთა 95% პროგნოზირებს მოთხოვნას ფინანსების მაგისტრატურის კურსდამთავრებულებზე, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს პროგრამის შესაბამისობას და აუცილებლობას.

სასწავლო გეგმა შექმნილია იმისათვის, რომ სტუდენტები ძლიერი ფინანსური მენეჯერული და ანალიტიკური უნარებით აღჭურვოს. პროგრამა ხელს უწყობს ფინანსურ სექტორს პროფესიონალების მომზადებით, რომლებიც შეძლებენ გაუმჯობესონ ფინანსური სექტორის მართვა და წვლილი შეიტანონ ეკონომიკურ განვითარებაში. პროგრამის მიზნები და ამოცანები შეესაბამება თსუ-ს და ISET-ის მისიას და სტრატეგიულ გეგმებს. პროგრამა ხაზს უსვამს ინტერნაციონალიზაციას და ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ISET-ს სტრატეგიული მიმართულების მიზანია შექმნას მდგრადი რეგიონალური მოდელი საერთაშორისო სწავლის, კვლევისა და შესაძლებლობების განვითარებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლების, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის მაღალ სტანდარტებს, რაც თვალსაჩინო იყო ხელმძღვანელობასთან გასაუბრებებისას და დაწესებულების დოკუმენტების გაცნობისას. პროგრამა აერთიანებს საერთაშორისო სტანდარტებს და ფინანსური განათლების სფეროში არსებულ პრაქტიკებს, რაც ასახავს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს სწავლის სფეროს და განათლების დონის მიხედვით. უზრუნველყოფილია პროგრამის მიზნების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან გაზიარება. როგორც სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებების, ასევე ფინანსური სექტორის პროფესიული მოთხოვნების გათვალისწინებით, ISET - ის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა აჩვენებს მტკიცე შესაბამისობას პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტის მოთხოვნებთან, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საფინანსო სფეროში და ფართო საზოგადოებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები, ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან
- პროგრამის სასწავლო გეგმა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის დანართები
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ISET - ის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ფინანსების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69 ბრძანების შესაბამისად. შემუშავებული სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ სამომავლო პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნები. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებს საშუალება მისცეს გააცნობიერონ ფუნდამენტური ფინანსური ცნებები, გააანალიზონ ცენტრალური ბანკების და ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობა და გაიაზრონ ფინანსურ და ეკონომიკურ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირი ფინანსური სექტორის ბოლო ინოვაციებზე დაყრდნობით.

მოელიან, რომ კურსდამთავრებულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოიყენებენ ფინანსურ კონცეფციებს და ინსტრუმენტებს, გააანალიზებენ ფინანსური ბაზრების და სხვადასხვა ფინანსური სუბიექტების ოპერაციებს და კორპორატიული მართვის ინსტრუმენტების გამოყენებით უზრუნველყოფენ მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხების სტრატეგიულ მართვას. სტუდენტებს ასევე ექნებათ შესაბამისი ცოდნა პრაქტიკული ფინანსური პრობლემების გადაჭრისას ტექნოლოგიური და ინოვაციური მულტიდისციპლინური მიდგომების ადაპტირების და გამოყენებისთვის და კვლევის აკადემიური კეთილსინდისიერების და ეთიკის სტანდარტების მიხედვით განხორციელებისთვის. გარდა ამისა, ისინი მზად იქნებიან ეფექტურად წარადგინონ თავიანთი კვლევის შედეგები, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით ინგლისურ ენაზე.

პროგრამა, შემდგომში, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, ი გადაწყვეტილების დამოუკიდებელ მიღებას და კვლევის და ანალიზის საფუძველზე საკუთარი

აზრის დაცვის უნარს. აღნიშნული სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება ფინანსების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს, რომლებიც ორიენტირებულია ცოდნის, უნარების და ღირებულებების შეძენასა და განვითარებაზე, რომელიც აუცილებელია როგორც საქართველოს, ისე გლობალურ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა 1.2 კომპონენტის მოთხოვნებთან დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებით, მათ შორის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობით, პროგრამის სილაბუსებით, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკებით და სწავლის შედეგების შეფასების რუკებით. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული მის მიზნებთან და ფინანსური დარგის სპეციფიკასთან. სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია და თანხვედრაშია კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან, დეტალური სფეროს აღმწერთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აღნიშული სწავლის შედეგები ეფუძნება დარგობრივ მახასიათებლებს, რომლებიც შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით და შეესაბამება დასაქმების მოთხოვნებს და კურსდამთავრებულების პოტენციალს განაგრძონ სწავლა შემდგომი განათლების მისაღებად. სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოიცავდა თანამშრომლობით პროცესს, რომელშიც მონაწილეობდა ყველა დაინტერესებულ მხარე, კერძოდ, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. სწავლის შედეგების თანმიმდევრულობა საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა დონეზე უზრუნველყოფს რომ შინაარსი, კომპლექსურობა და სირთულე შესაბამისია და ვითარდება რელევანტური საგანმანათლებლო ციკლების მიხედვით. ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ მიეწოდება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ურთიერთგაგებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები, ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან
- პროგრამის სასწავლო გეგმა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის დანართები
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ISET - ის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამის შეფასების მექანიზმი ავლენს მკაცრ და ყოვლისმომცველ მიდგომას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიმართ. პროგრამა იყენებს შეფასების მრავალსაფეხურიან პროცესს, რომელიც მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს სწავლის შედეგების სანდო და გამჭვირვალე შეფასების უზრუნველყოფის მიზნით. ეს პროცესი მხარდაჭერილია სხვადასხვა მექანიზმებით და ინსტრუმენტებით, მათ შორის პერიოდული შეფასებებით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. შეფასების ციკლი იწყება პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრით, რასაც მოჰყვება სასწავლო გეგმის ანალიზი, იმისათვის, რომ უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის ადექვატური შესაძლებლობების შეთავაზება სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნულს ემატება სწავლის შედეგების დეტალური შეფასება, რომელიც მოიცავს მონაცემთა შეგროვებას და ანალიზს სასურველი შედეგების მიღწევის გასაზომად. შეფასებების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რაც უზრუნველყოფს მიზნებისა და სტუდენტების საჭიროებების შესაბამისობას. ISET - ის სწავლის შედეგების შეფასების მიდგომა არის სისტემატური და გამჭვირვალე. პროგრამა იყენებს სხვადასხვა შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს, მათ შორის სტუდენტების კმაყოფილების კვლევას, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს და დამსაქმებელთა შეფასებებს. აღნიშნული მეთოდები იძლევა ყოვლისმომცველ ხედვას პროგრამის ეფექტურობის და სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ. სასწავლო გეგმის რუკის და სამიზნე ნიშნულების გამოყენება ხელს უწყობს პროგრამის მიზნების შესაბამისობას მის შედეგებთან და უზრუნველყოფს შეფასების შესაბამისობას სწავლის სფეროს დარგობრივ მახასიათებლებთან.

გარე დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, აქტიურ მონაწილეობას იღებენ შეფასების პროცესში. მათ მიერ წარმოდგენილი უკუკავშირი აუცილებელია პროგრამის შესაბამისობის და ეფექტურობის შეფასებისთვის. გარდა ამისა, პროგრამისთვის სარგებელი მოაქვს უცხოური უნივერსიტეტების საერთაშორისო უფროსი აკადემიური მრჩევლების ჩართულობას, რომლებიც სასწავლო გეგმის შინაარსთან და სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით წარმოადგენენ ექსპერტულ სახელმძღვანელო მითითებებს. პროგრამის შეფასების სისტემა ითვალისწინებს სწავლის სფეროს დარგობრივ მახასიათებლებს და სტუდენტების საგანმანათლებლო დონეს. შეფასების სისტემა მოიცავს პერიოდულ შეფასებებს, რომლებიც ხორციელდება სასწავლო წლის სხვადასხვა ეტაპზე. მაგალითად, შეფასებები ტარდება იანვარში და სასწავლო წლის ბოლოს და მიღებული შედეგები წარედგინება და

განიხილება ISET - ის საერთაშორისო აკადემიური საბჭოს მიერ. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ პროგრამა რეაგირებს უკუკავშირზე და მუდმივად უმჯობესდება.

გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მასალები, მათ შორის სტუდენტების ნაშრომები და შეფასების სხვა კომპონენტები, კარგად არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. პროგრამა, სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის და შედარების მიზნით ასევე იყენებს სამიზნე ნიშნულებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიღწევების შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან. შეფასების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა მხარდაჭერილია მუდმივი პროფესიული განვითარებით და ტრენინგებით. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ პერსონალი კარგად ფლობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და შეუძლია ეფექტური წვლილი შეიტანოს პროგრამის შეფასებისთვის განსაზღვრულ აქტივობებში.

მთლიანობაში, ISET - ის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა იყენებს გამართულ შეფასების მექანიზმს, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. პროგრამის აქცენტი მონაცემთა სისტემატურ შეგროვებაზე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე და მუდმივ გაუმჯობესებაზე ხაზს უსვამს მის ვალდებულებას მიაღწიოს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო შედეგებს და შეინარჩუნოს შესაბამისობა კონკურენტულ სფეროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები, ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან.
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ - გვერდი

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის	☒	☐	☐	☐

შედეგების შეფასების მექანიზმი

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის თ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ISET-ის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის თანმიმდევრულობას და ლოგიკურობას, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია სავალდებულო და არჩევით კურსებზე და სამაგისტრო ნაშრომზე, რაც ასახავს კარგად ორგანიზებულ სტრუქტურას სისტემატური სწავლის და აკადემიური პროგრესის მხარდაჭერის მიზნით. პროგრამა შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების რეგულაციებს და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) სახელმძღვანელო მითითებებს, რაც უზრუნველყოფს, რომ პროგრამის სტრუქტურა ასახავს აღნიშნულ სტანდარტებს და ეფექტურად უწყობს ხელს სტუდენტების სწავლის შედეგებს. სასწავლო გეგმა ჩამოყალიბებულია ყოვლისმომცველი პროგრესული, ლოგიკური სტრუქტურით, რომელიც იწყება ფუნდამენტური ცოდნით და ვითარდება რთული კონცეფციებით, რაც შეესაბამება კვალიფიკაციის მოსალოდნელ შედეგებს. პროგრამა ანიჭებს კვალიფიკაციას, რომელიც შეესაბამება შინაარსს და სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების ფინანსების მიმართულებით დარგის მიმდინარე ტენდენციების და მეთოდოლოგიის შესაბამისი სიღრმისეული ცოდნის მიღებას. პროგრამის შემუშავების და დახვეწის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები აქტიურად მონაწილეობენ დისკუსიებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რომლებიც უკავშირდება პროგრამის აგებულებას და შინაარსს. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის საჭიროებებთან და ითვალისწინებს უკუკავშირს სხვადასხვა პერსპექტივიდან, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორებისგან და ექსპერტებისგან. აღნიშნული მონაწილეობის მტკიცებულება წარმოდგენილია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციაში და უკუკავშირის გათვალისწინებით პროგრამის განახლების პროცესში. ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს პროგრამის ძირითად კომპონენტს. წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე, აერთიანებს უახლესი კვლევის შედეგებს და მოიცავს უცხოელი სპეციალისტების კონტრიბუციას. პროგრამა ასევე მონაწილეობს გაცვლით პროგრამებში, როგორიც არის ERASMUS და საერთაშორისო

უნივერსიტეტებთან ერთად განხორციელებული ტრენინგები, რაც აძლიერებს მის გლობალურ შესაბამისობას და ხელს უწყობს აკადემიურ მობილობას. აღნიშნული საერთაშორისო პერსპექტივა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სტუდენტების გლობალური ფინანსური კარიერისთვის მოსამზადებლად და უზრუნველყოფს საერთაშორისო დონეზე პროგრამის კონკურენტუნარიანობას. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების შინაარსით მიზნად ისახავს ფინანსურ სფეროში თანამედროვე მიღწევების ასახვას, რომელიც ვითარდება და ითვალისწინებს ახალ კვლევებსა და მიღწევებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ მიმდინარე და ყოვლისმომცველი განათლების მიღებას, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური სექტორის მოთხოვნებს. გარდა ამისა, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შექმნილია სტუდენტის ინდივიდუალობის მხარდასაჭერად, რაც იძლევა არჩევითი კურსების მეშვეობით მორგებული სასწავლო გამოცდილების მიღების და სამაგისტრო ნაშრომის საშუალებით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას. მთლიანობაში, თსუ - ს "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებს. ის ეფექტურად აერთიანებს დაინტერესებული მხარეების წვლილს, მხარს უჭერს ინტერნაციონალიზაციას და ასახავს ფინანსების მიმდინარე მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პროგრამის შინაარსთან და მიზნებთან მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისობას. პროგრამის საჯარო ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა კიდევ უფრო ხაზს უსვამს ხარისხზე და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე რეაგირების ვალდებულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია ან/და წესი.
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა.
- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მტკიცებულება
- ვებ - გვერდი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

" ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და მათი ერთიანობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტს "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის მეშვეობით. ლოგიკურია სასწავლო კურსების განსაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგებისთვის და თუ რა დონეზე შეიძლება თითოეული სასწავლო კურსით მიღწეულ იქნას პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს მინიმუმ რამდენიმე სავალდებულო სასწავლო კურსი, ამავდროულად, პროგრამის ყველა სწავლის შედეგის მიღწევა უზრუნველყოფილია დაუფლების დონეზე ("ფინანსების" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მე-3 დონე).

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები ისეა შემუშავებული, რომ კურსების შინაარსი ან თითოეულ კურსში მოცემული თემების ჩამონათვალი უზრუნველყოფს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

ამავდროულად, კურსის კრედიტების მოცულობამ და დატვირთვამ, საკონტაქტო ან დამოუკიდებელმა სამუშაო საათებმა შესაძლოა ლოგიკურად უზრუნველყოს კონკრეტული კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. უფრო კონკრეტულად, იმ კურსებისთვის, რომლებიც აღწერს უფრო კომპლექსურ და რთულ სწავლის შედეგებს, მინიჭებული აქვს უფრო მეტი ECTS კრედიტი იმ კურსებისგან განსხვავებით, რომლებიც ითვალისწინებენ შედარებით მოკრძალებულ სწავლის შედეგებს. მაგალითად, კურსებს, როგორიც არის ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1, ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2, ჯამში ენიჭება 10 ECTS კრედიტი, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3, ჯამში ენიჭება 12 ECTS

კრედიტი. ეკონომიკა ფინანსების სპეციალისტებისთვის 1, ეკონომიკა ფინანსების სპეციალისტებისთვის 2 და ეკონომიკა ფინანსების სპეციალისტებისთვის 3, ჯამში ენიჭება 15 ECTS კრედიტი, კორპორატიული ფინანსები 1 და კორპორატიული ფინანსები 2 ჯამში 10 ECTS კრედიტი და ა.შ.

კურსის თეორიულ და პრაქტიკულ საათებს შორის წარმოდგენილია საკონტაქტო საათების ლოგიკური განაწილება. მაგალითად, კურსებს რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3, ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვა, ბიზნესის შეფასება, რომლებიც საჭიროებენ სტუდენტების უფრო ინტენსიურ პრაქტიკულ მუშაობას კურსში აღწერილი უნარების მისაღწევად, განსაზღვრული აქვს თეორიული და პრაქტიკული საათების შემდეგი თანაფარდობა: 1/2 და ა.შ.

პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებულია სწავლებისა და სწავლის რელევანტური მეთოდები, რომლებიც შეესაბამება თითოეული კურსის სწავლის შედეგებს და თითოეულის გამოყენებამ შეიძლება უზრუნველყოს თეორიული მასალის სრულყოფილად ათვისება და პრაქტიკული უნარების განვითარება სათანადო დონეზე, სასწავლო კურსის და პროგრამის სწავლის შედეგების სათანადოს მიღწევა. უფრო კონკრეტულად, კურსები, რომლებიც უფრო მეტად ორიენტირებულია სტუდენტების უნარების განვითარებაზე, ითვალისწინებს ისეთ სწავლების და სწავლის მეთოდებს (მაგ. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, პრაქტიკული მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, ანალიზი და ა.შ.), რომლებიც ხელს უწყობენ და მხარს უჭერენ მათ განვითარებას. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების და სწავლის მეთოდები ჩამოთვლილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. პროგრამაში გამოყენებული სწავლების-სწავლის მეთოდების ადეკვატურობის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-2 სტანდარტის 2.3 კომპონენტის „სწავლა - სწავლების მეთოდები“ შეფასებაში.

სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება პროგრამის თითოეულ საგანში, სასწავლო კურსში. "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებულია შეფასების შესაბამისი მეთოდები, რაც უზრუნველყოფს კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების სათანადო შეფასებას. უფრო კონკრეტულად, კურსები, რომლებიც უფრო მეტად არის ორიენტირებული სტუდენტების უნარების განვითარებაზე, იყენებენ ისეთ შეფასების მეთოდებს (მაგ. პრობლემის გადაჭრა, პრაქტიკული დავალებები, შემთხვევის შესწავლა, ანალიზი და ა.შ.), რომლებიც ხელს უწყობენ და უზრუნველყოფენ მათ შეფასებას. თეორიული ცოდნა ფასდება შეფასების ისეთი მეთოდებით, როგორიც არის ღია და დახურული კითხვები და ა.შ. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების კომპონენტები და მეთოდები დეტალურად არის აღწერილი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების ადეკვატურობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2 სტანდარტის 2.4 კომპონენტის „სტუდენტების შეფასება“ შეფასებაში.

სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა შეესაბამება კურსების თემატიკას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
-

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და უზრუნველყოფს პროგრამაში იმ პირების მიღებას, რომლებიც ფლობენ პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნას და უნარებს. უფრო კონკრეტულად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

სავალდებულოა ადგილობრივი აბიტურიენტებისთის (საქართველოს მოქალაქეებისთვის):

- ნებისმიერი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის ხარისხის ფლობა;
- შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთიანი სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;
- ISET-ის მიერ ორგანიზებული შიდა მისაღები წერილობითი გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაზე, რომელიც მოიცავს მათემატიკის და ფინანსების საფუძვლებს;
- ISET-ის მიმღებ კომისიასთან გასაუბრება ინგლისურ ენაზე, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალე, წინასწარ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს. გასაუბრების დროს აბიტურიენტებმა უნდა დაასაბუთონ ფინანსების შესწავლის მოტივაცია.

წერილობითი გამოცდა და გასაუბრება აფასებს აბიტურიენტის ინგლისური ენის ცოდნის დონეს (B2 დონე).

სავალდებულოა საერთაშორისო (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის) აბიტურიენტებისთვის, აბიტურიენტების / მაგისტრატურის კანდიდატების/ სტუდენტების, რომლებსაც უფლება აქვთ ისწავლონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საბუთების წარდგენის წესის მიხედვით:

- ნებისმიერი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის ხარისხის ფლობა;
- ISET-ის მიერ ორგანიზებული შიდა მისაღები წერილობითი გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაზე, რომელიც მოიცავს მათემატიკას და ფინანსების საფუძვლებს;
- ISET-ის მიმღებ კომისიასთან გასაუბრება ინგლისურ ენაზე, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალე, წინასწარ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს. გასაუბრების დროს აბიტურიენტებმა უნდა დაასაბუთონ ფინანსების შესწავლის მოტივაცია.

წერილობითი გამოცდა და გასაუბრება აფასებს აბიტურიენტის ინგლისური ენის ცოდნის დონეს (B2 დონე).

ადგილზე ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ექსპერტთა ჯგუფის წევრების მოთხოვნით წარმოადგინა წერილობითი გამოცდის ნიმუში მათემატიკის და ფინანსების საფუძვლებში. შიდა მისაღები წერილობითი გამოცდა უზრუნველყოფს მათემატიკაში და ფინანსებში საბაზისო ცოდნის შეფასებას, რაც ხელს შეუწყობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირების მიღებას.

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე: https://iset.tsu.ge/index.php/degree-programs2/masters-in-finance/admissions-process.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი: https://iset.tsu.ge/index.php/degree-programs2/masters-in-finance/admissions-process.

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და / ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, ისეა შემუშავებული, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარებას ხელს უწყობს, სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის შესაბამისი მეთოდების და აქტივობების, ამოცანების (პრობლემზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, ანალიზი და ა.შ.) გამოყენება და მთლიანად პროგრამის სავალდებულო ინდივიდუალური კომპონენტი. ისეთი კურსები, როგორიც არის: ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1 და ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2, კორპორატიული ფინანსები 1, კორპორატიული ფინანსები 2, ბიზნესის შეფასება და ა.შ. ძირითადად ითვალისწინებს პრაქტიკულ სამუშაო საათებს, რომლებიც ემსახურება და ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას და კურსდამთავრებულის მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ცალკეულ სავალდებულო პრაქტიკულ კომპონენტს სახელწოდებით შემაჯამებელი პროექტი (Capstone Project), რომელსაც ენიჭება 4 ECTS კრედიტი. შემაჯამებელი პროექტი ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებაზე და, შესაბამისად, ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. თუმცა, ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით (დამტკიცებული 2023 წლის 15 სექტემბერს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1158226 ბრძანებით) "ფინანსების" საგანმანათლებლო პროგრამები უნდა ითვალისწინებდნენ პრაქტიკულ კომპონენტს მინიმუმ 5 ECTS კრედიტის მოცულობით. ზემოთ აღნიშნული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს შემაჯამებელი პროექტისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა მინიმუმ 5 ECTS კრედიტამდე, რაც თავის მხრივ გაზრდის ორგანიზაციებში სტუდენტების დატვირთვას და უკეთესად შეუწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით მემორანდუმები გაფორმებულია შესაბამის ორგანიზაციებთან. მემორანდუმები მოიცავს ინფორმაციას

ყოველწლიურად მისაღები შეთანხმებული სტუდენტების რაოდენობის შესახებ. მემორანდუმებში მითითებული სტუდენტების საერთო რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სრული რაოდენობის მიღება (სულ 40 სტუდენტი, 30 ადგილობრივი და 10 საერთაშორისო სტუდენტი).

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს პროგრამაში გათვალისწინებული რამდენიმე კონკრეტული სასწავლო კურსი, როგორიც არის, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3 - მონაცემთა ვიზუალიზაცია, კვლევის მეთოდები. სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ზემოთ აღნიშნულ სასწავლო კურსებში გამოყენებულია სწავლების და სწავლის, ასევე შეფასების მეთოდები და აქტივობები, როგორიც არის კრიტიკული დისკუსია და მიმოხილვა, სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზი, კვლევის წინადადებების შემუშავება და ა.შ.

გარდა ამისა, "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარება უზრუნველყოფილია სამაგისტრო ნაშრომით, რისთვისაც პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია 15 ECTS კრედიტი.

სამაგისტრო ნაშრომი სრულდება სწავლების მეექვსე სემესტრში. სამაგისტრო ნაშრომისთვის სტუდენტის მაქსიმალურ მზადყოფნას უზრუნველყოფს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ კომპონენტზე დაშვებისთვის სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები, უფრო კონკრეტულად - აკადემიური კურსები, როგორიც არის აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3 - მონაცემთა ვიზუალიზაცია, ეკონომიკა ფინანსების სპეციალისტებისთვის 3 - ეკონომიკური ანალიზის გამოყენება, ფიქსირებული შემოსავლის შეფასება, ბიზნესის შეფასება, ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2, კორპორატიული ფინანსები 2, ეთიკური და პროფესიული სტანდარტები ინვესტიციების ინდუსტრიაში, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, საინვესტიციო პორტფელის მენეჯმენტი. სამაგისტრო ნაშრომის სავალდებულო კომპონენტი ემსახურება სტუდენტების წერითი და ანალიტიკური უნარების გაძლიერებას, ასევე კვლევის დამოუკიდებლად, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ განხორციელების უნარისა და შესაძლებლობის განვითარებას და უზრუნველყოფას.

რაც შეეხება სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარებას, აღნიშნული ასევე უზრუნველყოფილია "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი შესაბამისი სწავლებისა და სწავლის მეთოდების, აქტივობების და დავალებების გამოყენებით, როგორიც არის ჯგუფური მუშაობა, დისკუსია და დებატები, მოხსენება და პრეზენტაცია და ა.შ. აკადემიურ კურსებში, როგორიც არის აკადემიური წერა, ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1, ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2 და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

2.2.2 რეკომენდებულია, ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, გაიზარდოს შემაჯამებელი პროექტის (Capstone Project) კრედიტების რაოდენობა მინიმუმ 5 ECTS კრედიტამდე, რაც თავის მხრივ გაზრდის ორგანიზაციებში სტუდენტების დატვირთვას და უკეთ შეუწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის / საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ჩამოთვლილია გამოყენებული სწავლის შედეგები.

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებულია სწავლების და სწავლის მეთოდები, სასწავლო პროგრამის თემატიკის, მიზნების და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

- ლექციები
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა
- თანამშრომლობითი და ინდივიდუალური სამუშაოები
- წერითი დავალებები
- ზეპირი აქტივობები
- პრაქტიკული სამუშაო და დავალებები
- შემთხვევის შესწავლა და ანალიზი
- დისკუსია და დებატები
- მოხსენება და პრეზენტაცია
- გონებრივი იერიში
- ინდუქცია, დედუქცია და სინთეზი
- წყაროებზე / წიგნზე მუშაობა და ა.შ.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების და სწავლის მეთოდები, მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ და შეინარჩუნონ კურსით აღწერილი კონკრეტული კომპეტენციების, ცოდნის და უნარების განვითარება. უფრო კონკრეტულად, სასწავლო კურსები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, იყენებენ ისეთ სწავლების და სწავლის მეთოდებს, როგორიც არის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, პრაქტიკული სამუშაო და დავალებები, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი, გონებრივი იერიში და ა.შ. სწავლების და სწავლის მეთოდები, როგორიც არის თანამშრომლობითი მუშაობა, დისკუსიები და დებატები, მოხსენებები და პრეზენტაციები, ზეპირი აქტივობები და ა.შ. სასწავლო კურსები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტების ანალიტიკური უნარების განვითარებაზე, იყენებენ სწავლების და სწავლის მეთოდებს, როგორიც არის გონებრივი იერიში, დებატები,

შემთხვევის შესწავლა და ანალიზი, ინდუქცია, დედუქცია და სინთეზი და ა.შ. ხოლო სასწავლო კურსებში, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს უნდა გამოუმუშავდეთ კვლევითი უნარები გამოიყენება ისეთი სწავლების და სწავლის მეთოდები, როგორიც არის წყაროებზე / წიგნზე მუშაობა, წერითი დავალებები, ინდუქცია, დედუქცია და სინთეზი და ა.შ.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შესაბამისი დოკუმენტები ინდივიდუალური მიდგომების და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების უზრუნველყოფის მიზნით იმ სტუდენტებისთვის რომლებიც საჭიროებენ განსახვავებულ აკადემიურ მიდგომებს. სპეციალური აკადემიური ან სხვა ტიპის სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების ინდივიდუალური აკადემიური მიდგომების რეგულირების მიზნით შემუშავებულია ორი დოკუმენტი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აკადემიური საბჭოს №68/2018 დადგენილება - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ და თსუ - ს აკადემიური საბჭოს №71/2018 დადგენილება - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის შესახებ.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრებისას აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ასევე "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა დაადასტურეს ლექტორების საკონსულტაციო საათების ხელმისაწვდომობა, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების და მოთხოვნების მხარდაჭერის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №71/2018 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების შეფასების პროცესი შეესაბამება როგორც უმაღლესი სასწავლებლის, ისე გარე რეგულაციებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანება: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ).
სტუდენტების შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით, სადაც საბოლოო შეფასება სხვადასხვა კომპონენტის ერთობლიობაა, როგორიცაა ჯგუფური პროექტები, პრაქტიკული დავალებები, წერითი დავალებები, ქვიზები და გამოცდები. თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი მერყეობს კურსის სპეციფიკის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს შეფასების მორგებას თითოეული კურსის სწავლის მიზნებსა და ბუნებაზე. შეფასების ფორმატების ეს მრავალფეროვნება იძლევა სტუდენტის უნარებისა და ცოდნის უფრო ყოვლისმომცველი შეფასების საშუალებას.
შეფასების სისტემა არის მკაფიო და კარგად განსაზღვრული, ჩაბარების კონკრეტული ზღვრებით. დასკვნითი გამოცდის ჩაბარების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება მაქსიმალური ქულის 50%-ით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ კურსის მასალის კარგად ათვისებას სწავლის შემდგომ გაგრძელებამდე.. სისტემა ასევე ითვალისწინებს წარუმატებლობის შემთხვევაში დამატებით გამოცდებს, რაც სტუდენტებს თავიანთი შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას აძლევს.
დაწესებულება რეგულარულად ატარებს აკადემიური მოსწრების ანალიზს და მიღებულ შედეგებს სწავლება-სწავლის პროცესების გასაუმჯობესებლად იყენებს. მუდმივი სწრაფვა გაუმჯობესებისკენ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის აქტუალურობას და ეფექტურობას.
ISET-ში გასაჩივრების პროცესი სამართლიანი და გამჭვირვალეა, რაც სტუდენტებს კონკრეტულ პერიოდში მიღებული შეფასების გასაჩივრების საშუალებას აძლევს. პროცესი უზრუნველყოფს ნებისმიერი შეუსაბამო შეფასების აღმოიფხვრის შესაძლებლობას სამართლიანი შეფასების სისტემის მეშვეობით.

საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო ტრიმესტრში სტუდენტები ამზადებენ სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც ხარისხის მისაღებად კრიტიკულ კომპონენტს წარმოადგენს. სამაგისტრო ნაშრომი ინდივიდუალური პროექტია, რომელის მომზადებასაც სტუდენტის ხელმძღვანელი უწევს ზედამხედველობას ; ნაშრომი იწერება ინგლისურ ენაზე. წარდგენა, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით, ხდება აკადემიურ საქმეთა დეპარტამენტის მიერ დადგენილ დროსა და ადგილზე. დაცვისათვის საჭიროა ხელმძღვანელის დადებითი რეკომენდაცია. ნაშრომს აფასებს კომისია, რომელშიც შედის პროგრამის ხელმძღვანელი და ISET -ის აკადემიური პერსონალი. საბოლოო შეფასება კომისიის კოლექტიური შეფასების საფუძველზე ხდება. სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში „FX“ ნიშანი იძლევა ნაშრომის შემდეგ სემესტრში ხელახლა წარდგენის შესაძლებლობას, ხოლო „F“ ნიშანი ნიშნავს, რომ სტუდენტი კარგავს უფლებას ხელახლა წარადგინოს იგივე კომპონენტი. ნაშრომებში პლაგიარიზმის თავიდან ასაცილებლად, მსგავსების იდენტიფიკაციისათვის გამოიყენება Unicheck სისტემა. ასევე, შეფასების ერთიან სისტემაში, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში საკვლევი თემის აქტუალობისა და ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის მთავარი ასპექტების და მასთან დაკავშირებული საკითხების გაგებისა და გააზრების კომპეტენციის შესაფასებლად ქულების განაწილება კარგად არ არის განსაზღვრული. ეს ტენდენცია შეინიშნება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის თითქმის ყველა კომპონენტში. სტუდენტებს შესაძლოა გაუჭირდეთიმის გააზრება და განმარტება, თუ რატომ შეიძლება დაკარგონ რამდენიმე ქულა. ამიტომ, შეფასების პროცესში მეტი სიცხადისა და სამართლიანობის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია ქულობრივი კრიტერიუმების უფრო დეტალური განმარტება, ში.
კურსის/პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი ელექტრონული პორტალის Moodle-ის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და მისი აღწერილობა;
- გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის სილაბუსები;
- გამოცდის შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- დანართი 64: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- Unicheck მსგავსების ანგარიშები.

რეკომენდაციები: არც ერთი

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

2.4.2 შეფასების პროცესში სიცხადის და სამართლიანობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დაზუსტდეს და დეტალურად აღინიშნოს ქულობრივი კრიტერიუმები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ საინფორმაციო მომსახურებას თავისი სტუდენტებისათვის, რომელიც მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ/კარიერულ მხარდაჭერას. ეს მომსახურებები იწყება სტუდენტების მიღების პერიოდიდან და გრძელდება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში.

ორიენტაციის პროცესი ISET-ში კარგად არის სტრუქტურირებული, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების სრულყოფილ ინფორმირებას საგანმანათლებლო პროცესის შესახებ. საორიენტაციო შეხვედრები, როგორც წესი, სასწავლო წლის პირველ დღეს იმართება და მოიცავს ისეთი ძირითადი დოკუმენტების დარიგებას, როგორიცაა სტუდენტთა მხარდაჭერის სახელმძღვანელო, ეთიკის კოდექსი და სასწავლო პორტალი Moodle-ის გამოყენების ინსტრუქცია. ISET-ის ვებ-გვერდი წარმოადგენს ინფორმაციის ორგანიზებულ წყაროს, მათ შორის - აკადემიურ კალენდარს.

ეს მომსახურებები ISET-ში სისტემურად იყოფა აკადემიურ და ადმინისტრაციულ/კარიერულ სფეროებად. აკადემიური საკითხების დეპარტამენტი, რომელსაც მიღების მენეჯერი ხელმძღვანელობს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოტენციური სტუდენტების კონსულტირებაში სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით, როგორიც არის ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ონლაინ შეხვედრები და პირისპირ ურთიერთობა. გარდა ამისა, ყველა განმცხადებელი იღებს ინფორმაციას ღონისძიებების, შეხვედრებისა და საჯარო ლექციების შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელებს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებს შორის ყოველწლიური შეხვედრების ტრადიცია ხელს უწყობს ღია კომუნიკაციას, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და აღნიშნონ საჭიროებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ISET -ის პროფესორები აქტიურად არიან ჩართულნი აკადემიურ კონსულტაციებში, რეგულარული სამუშაო საათებისა და ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის შეთავაზებით, რათა სტუდენტებს დაეხმარონ აკადემიურ საკითხებში. ეს მხარდაჭერა განსაკუთრებით თვალსაჩინოა შუალედური და დასკვნითი გამოცდების პერიოდში, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს დამატებითი მომზადებითა და რეკომენდაციებით.

კომუნიკაციებისა და საგარეო საქმეთა დეპარტამენტს გადამწყვეტი როლი ენიჭება სამუშაო ადგილების, სტაჟირების, კონკურსებისა და სხვა პროფესიული შესაძლებლობების თაობაზე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირების საქმეში.

ISET-ის პროფესიონალურ ქსელს მხარს უჭერს კურსდამთავრებულთა ასოციაცია, რომელიც 2016 წელს შეიქმნა. ასოციაცია აწყობს სხვადასხვა ღონისძიებებს, უზრუნველყოფს სტიპენდიებს და ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს შორის ურთიერთობებს.

გარდა ამისა, ISET სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილ ვარიანტებს სთავაზობს. სტუდენტებს შეუძლიათ თავად შეადგინონ გადახდის ინდივიდუალური გრაფიკები, რაც მათ საკუთარი ფინანსური ვალდებულებების იმგვარად მართვის საშუალებას აძლევს რომ საუკეთესოდ შეუფერდონ პირად გარემოებებს. ეს მოქნილობა კი უზრუნველყოფს, რომ ფინანსური შეზღუდვები ხელს არ უშლიდეს სტუდენტების საგანმანათლებლო საქმიანობას.

ISET-ის სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ სტუდენტები არ იყვნენ ინფორმირებულნი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების პროცესის თაობაზე. ინფორმირებულობის ნაკლებობა მიუთითებს აკადემიური და ადმინისტრაციული შეფასების ამ მნიშვნელოვან ასპექტთან დაკავშირებით კომუნიკაციისა და ჩართულობის ხარვეზზე.

თვითშეფასების პროცესი მუდმივი გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაფიქრდნენ თავიანთი სწავლის გამოცდილებაზე, უკუკავშირი მიაწოდონ განათლების ხარისხის შესახებ და წვლილი შეიტანონ ინსტიტუციური პრაქტიკის საერთო გაუმჯობესებაში. ამ პროცესში სტუდენტების გაზრდილი მონაწილეობა უფრო მომგებიანი იქნება ანგარიშვალდებულების კულტურისა და საგანმანათლებლო გარემოს ფორმირებაში აქტიური ჩართულობის გასაძლიერებლად.

დასასრულს, ISET-ის საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურებები ძლიერი და კარგად ინტეგრირებულია დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ ჩარჩოში. ადმინისტრაციის პროაქტიული და პასუხისმგებელი მიდგომა, აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობასთან, კურსდამთავრებულთა ძლიერ ქსელთან და დაფინანსების მოქნილ ვარიანტებთან ერთად, უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ აუცილებელი მხარდაჭერის მიღებას აკადემიური და პროფესიული წარმატების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების ფუნქციების, მოვალეობებისა და მუშაობის აღწერილობა;
- აბიტურიენტთან კომუნიკაციის ნიმუში საბაკალავრო პროგრამაზე მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- ISET ვებ-გვერდი;

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: არც ერთი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

3.1.2 სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა და მონაწილეობა პროგრამების თვითშეფასების პროცესში.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ზედამხედველობის ჯეროვნად განხორციელების საშუალებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ISET სთავაზობს ყოვლისმომცველ სამაგისტრო პროგრამას, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, როგორც სასწავლო გეგმის კრიტიკულ კომპონენტს. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესი იწყება მეექვსე ტრიმესტრის დასაწყისში. სტუდენტებს მოეთხოვებათ ნაშრომის თემის შერჩევა, ხოლო ხელმძღვანელები ინიშნებიან შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილების საფუძველზე. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, გასაუბრების დროს შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებით თანახელმძღვანელის დახმარება.

სამაგისტრო ნაშრომი გულისხმობს რეგულარულ კონსულტაციებს სტუდენტსა და მის ხელმძღვანელს შორის. ეს სესიები მოიცავს კვლევის პროცესის კრიტიკულ ასპექტებს, მათ შორის კვლევის დიზაინს, მეთოდოლოგიას, ლიტერატურის მიმოხილვას და აკადემიური ფორმატირების სტანდარტების დაცვას.

სტუდენტები ინდივიდუალურ კონსულტაციას იღებენ როგორც ნაშრომის ხელმძღვანელის, ასევე პროგრამის ხელმძღვანელისაგან. ეს მხარდაჭერა მოიცავს ნაშრომის მომზადების პროცესის როგორც აკადემიურ, ისე ორგანიზაციულ ასპექტებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს კარგად მომზადებას და გზამკვლევობას კვლევის განმავლობაში. დასკვნითი ტრიმესტრის ბოლოს სტუდენტებს შეუძლიათ ანონიმურად შეაფასონ მათი ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების საქმიანობა.

მაღალი სტანდარტებისა და მოტივაციის წასახალისებლად ISET-მა დაამკვიდრა გამორჩეული სამაგისტრო ნაშრომების აღიარების ტრადიცია. ხელმძღვანელებს შეუძლიათ წარადგინონ მაღალი ხარისხის ნაშრომები "საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომის" ჯილდოზე, რომელიც ყოველწლიურად განიხილება ISET-ის საერთაშორისო აკადემიური საბჭოს მიერ. ეს არის მნიშვნელოვანი მოტივატორი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვის, რაც ხელს უწყობს კვლევის სრულყოფილებას.

თუმცა, ვიზიტის დროს გამოვლენილი კრიტიკული პრობლემა არის თითოეული ხელმძღვანელისათვის გამოყოფილი სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრული თანაფარდობის არარსებობა. სტრუქტურირებული ხელმძღვანელი-სტუდენტის თანაფარდობის ამ არარსებობას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე უარყოფითი გავლენა. მკაფიო თანაფარდობის გარეშე, ზოგიერთ ხელმძღვანელს შეიძლება დაენიშნოს სტუდენტების გადაჭარბებული რაოდენობა, რაც ხელმძღვანელობის შესუსტებას იწვევს. ხელმძღვანელი-სტუდენტის თანაფარდობის არარსებობამ შესაძლოა კვლევის შედეგების საერთო ხარისხზე იქონიოს გავლენა. გადატვირთულმა ხელმძღვანელებმა შეიძლება ვეღარ შეძლონ საკმარისი დროისა და რესურსების ინვესტირება თითოეული სტუდენტის კვლევაში.

მაგისტრანტების / დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემებ	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამას ჯერ არა ჰყავს კურსდამთავრებულები.
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	15 (თხუთმეტი)
თანაფარდობა	არ არის მითითებული

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრების შედეგები;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- აკადემიური პერსონალის CV-ები.

რეკომენდაციები:

3.2.2 სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესის და კვლევის შედეგების ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ISET-ის შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში დაზუსტდეს ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობა.

რჩევები პროგრამების განვითარებისათვის **არც ერთი**

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

➢ პროგრამის პერსონალი შედგება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებისაგან, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენციები.

➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას.

➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფინანსების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი დაქირავებულია როგორც კანონმდებლობის, ასევე უსდ-ის შინაგანაწესის შესაბამისად. მათ კონკურსის წესით ირჩევს ISET-ის საერთაშორისო აკადემიური საბჭო, ასევე თსუ ISET-ისთვის ღია კონკურსის გზით.

ISET-ში აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი, აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობებთან ერთად, განისაზღვრება საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" შესაბამისად. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები და უმაღლესი სასწავლებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ფლობს აშშ-სა და ევროპის უნივერსიტეტების დოქტორის ხარისხს. ეს დოკუმენტები ასევე მოწმობენ, რომ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა შეესაბამება თსუ-ის აკადემიური პერსონალის დაკომპლექტებისა და კონკურსის წესს და თსუ-ის პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესს. აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათი დატვირთვა მოიცავს სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილ საათებს, როგორც ეს მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსში.

თსუესს-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის დატვირთვის მონიტორინგის მეთოდოლოგია და სქემა. მოთხოვნილ იქნა ექსპერტებისათვის შესაბამისი სქემების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ

ეს სქემები მომზადებულია ყოველი სემესტრისათვის, მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკონტაქტო საათებს და დატვირთვას სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა, სქემა არ ასახავს ინფორმაციას სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვის შესახებ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ ჩვიდმეტი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 3 აკადემიური და 14 მოწვეული პერსონალი (მოწვეული ლექტორი-სპეციალისტი). აკადემიურ პერსონალს შორის არის 2 ასოცირებული და 1 ასისტენტ-პროფესორი. აკადემიური პერსონალი შეადგენს ლექტორთა საერთო რაოდენობის 17,7%-ს.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა შემდეგია:
აკადემიური პერსონალის თანაფარდობა პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტებთან არის 1/5.
მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტებთან არის 14/15.

უმაღლესი სასწავლებლის მიერ განსაზღვრულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის დადგენის მეთოდოლოგია, მინიმალური სამიზნე ნიშნულებითურთ (აკადემიური პერსონალი უნდა იყოს ლექტორთა საერთო რაოდენობის 2/3). თუმცა, უმაღლესმა სასწავლებემმა ასევე აღნიშნა, რომ ეს მიზნობრივი ნიშნული მხოლოდ სარეკომენდაციოა და შეიძლება განსხვავდებოდეს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად. ვინაიდან პროგრამა სრულად არ არის დატვირთული სტუდენტების სავარაუდო რაოდენობით, პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამის გამართული ფუნქციონირებისთვის. ხელმძღვანელობასთან გასაუბრებისას ასევე გაირკვა, რომ ამჟამად შეუძლებელია აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეკომენდირებული თანაფარდობის შენარჩუნება რეზიდენტ პერსონალისათვის საჭირო სოლიდური ფინანსური რესურსების გამო, თუმცა დაწესებულება მუშაობს აკადემიური პერსონალის რაოდენობის სამომავლოდ გაზრდაზე. სტუდენტებს ეხმარებიან შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
პროგრამის ხელმძღვანელი არის მოტივირებული და კვალიფიციური ახალგაზრდა პროფესიონალი, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს სამაგისტრო პროგრამის სფეროში. სწავლების გარდა, აკადემიური პერსონალი მონაწილეობს სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამების შემუშავებაში, კვლევებში და სხვადასხვა ორგანიზებულ ღონისძიებებში.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [6]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[6]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე
პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	**3**	**3**	**2**	**3**
- პროფესორი	-	-	-	-
- ასოცირებული პროფესორი	2	2	1	2
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	14 (5 საერთაშორისო)	10	8	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

მტკიცებულება/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.
- თსუ-ის პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი.
- 118-ე დადგენილება თსუ-ს აკადემიური პერსონალის დაკომპლექტებისა და კონკურსის ერთიანი წესის შესახებ.
- თსუ-ს პროგრამების პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- თსუ-ს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი.
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია.
- პერსონალის პირადი საქმეები (CV-ები და დიპლომები).
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

4.1.3 რეკომენდებულია პერსონალის დატვირთვის სქემა მოიცავდეს ინფორმაციას არა მხოლოდ სწავლების, არამედ სამეცნიერო - კვლევითი და სხვა დატვირთვის შესახებ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქცია - მოვალეობების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებდეს სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილ საათებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

4.1.2. სასურველია, დაწესებულებამ სამომავლოდ გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა რეგულირდება დოკუმენტით „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები“. დოკუმენტი განსაზღვრავს თუ ვინ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. როგორც დოკუმენტიდან და გასაუბრებისას დადგინდა, ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. უსდ-ს შემუშავებული აქვს გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები ხელმძღვანელისათვის, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო დონის ხელმძღვანელისადმი მოთხოვნებს და პასუხობს პროგრამის სპეციფიკას; მთავარი მოთხოვნაა დოქტორის ხარისხი დარგში და ასევე პრაქტიკული გამოცდილება.

სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეებიდან ირკვევა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისათვის მათ აქვთ საკმარისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. ისინი აღჭურვილი არიან უახლესი ცოდნით, აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომი.

ინტერვიუს დროს ექსპერტებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ მომავალ წელს სკოლა გეგმავს მაგისტრატურის სტუდენტებს მიაწოდოს პოტენციური ხელმძღვანელების სია და შესაბამისი კვლევის სფეროები.

ის ფაქტი, რომ პროგრამის პერსონალის უმეტესობას აქვს დოქტორის ხარისხი, ხოლო ორ მოწვეულ პროფესორს არის პროფესიონალი ფინანსური ანალიტიკოსი (CFA), საშუალებას აძლევს სტუდენტებს აირჩიონ ხელმძღვანელი მათთვის საინტერესო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ფაკულტეტზე საერთაშორისო პერსონალის ყოფნა საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ გლობალური გამოცდილება ნაშრომზე მუშაობისას. როგორც ISET-ის ადმინისტრაციამ აღნიშნა ინტერვიუებში, პერსონალის ყველა წევრი მოიაზრებოდა ნაშრომის ხელმძღვანელად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები გათვლილია არსებული დარგის პერსონალის გათვალისწინებით.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის**	**მათ შორის, აფილირებული**

		მქონე ხელმძღვანელები	**აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**3**	**2**	**3**
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი	2	1	2
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1
მოწვეული პერსონალი	14	8	
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი
- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- ინტერვიუს შედეგები.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები: არც ერთი

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

4.2.1 მიზანშეწონილია მაგისტრატურის სტუდენტებს მიეწოდოს პოტენციური ხელმძღვანელების სია და შესაბამისი კვლევის სფეროები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტთა	☒	☐	☐	☐

და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უფრო მეტიც, ის ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ISET რეგულარულად აფასებს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის სასწავლო და კვლევით საქმიანობას ყოველ სემესტრში. ეს შეფასება შეესაბამება „ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალის შეფასების წესს“. სტუდენტები მონაწილეობენ შეფასების პროცესში გამოკითხვების საშუალებით, რითაც აფასებენ საგანმანათლებლო აქტივობებს, კურსებს და ლექტორებს. გამოკითხვები, „საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა“ და „აკადემიური პერსინალის კმაყოფილების კვლევა“, გამოიყენება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შედეგებისა და კმაყოფილების დონის გასაანალიზებლად.

აკადემიური პერსონალი ფასდება სამ ძირითად მიმართულებაში: სწავლება, უნივერსიტეტის საქმიანობის ხელშეწყობა და კვლევა. ექსპერტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეფასებები თავდაპირველად სწავლების პირველი წლის ბოლოს ტარდება, შემდეგ კი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. ISET-ის საბჭოები აქტიურად სწავლობენ აკადემიური პერსონალის კოლეგიალურ მუშაობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლექტორების სასწავლო და კვლევით საქმიანობას სტუდენტების შეფასების საფუძველზე. ეს შეფასებები ფოკუსირებულია კონფერენციებში მონაწილეობაზე, სემინარებისა და პრეზენტაციების ჩატარებასა და კვლევების გამოქვეყნებაზე.

ამ შეფასებების შედეგების გათვალისწინება ხდება პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების დროს. ისინი აწვდიან ფინანსურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას ისეთი ღონისძიებებისათვის, როგორიცაა ტრენინგები, სემინარები და კონფერენციები, რომლებიც აუცილებელია პროფესიული განვითარებისთვის. აკადემიური პერსონალის თქმით, სტუდენტებისა და პროგრამის ხელმძღვანელების გამოხმაურება მათთვის გადამწყვეტია. ისინი გრძნობენ სკოლის მხრიდან მხარდაჭერას, რომელიც უზრუნველყოფს რესურსებს, როგორიცაა ახალი წიგნები, ეკონომიკური ჟურნალების გამოწერა, საწევრო გადასახადები, მონაწილეობა სემინარებსა და კონფერენციებში (მოგზაურობისა და ცხოვრების ხარჯების ჩათვლით) და კვლევასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფა და აპარატურა. გარდა ამისა, პერსონალი იღებს სამოტივაციო ბონუსებს წარმატებული პუბლიკაციებისათვის.

სკოლამ დააარსა " ISET სამუშაო დოკუმენტების სერია", რომელიც საშუალებას აძლევს ადგილობრივ და მოწვეულ პროფესორებს გაუზიარონ და გამოაქვეყნონ თავიანთი კვლევები ღია,

ხელმისაწვდომ სივრცეში. ISET ასევე სთავაზობს პროფესორებს კვლევით გრანტს ან დახმარებას 2500 აშშ დოლარამდე წელიწადში კვლევით პროექტებში, ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში მონაწილეობის მხარდასაჭერად.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი მუდმივად უჭერს მხარს აკადემიურ პერსონალს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, საჯარო ლექციებში (მაგ., საქართველოს ბანკისა და ეკონომიკის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ლექციებში), სემინარებსა და დისკუსიებში, CERGE-EI-ის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ პედაგოგიურ სემინარებში (ერასმუსის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მობილობა) მონაწილეობაში.

უნივერსიტეტი მოწადინებულია მათი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისა და წვლილის შეტანისადმი მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში.

- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებითტუდენტთა კმაყოფილების კვლევა " და „აკადემიური პერსონალის
- კმაყოფილების კვლევა;
- ISET სამუშაო დოკუმენტების სერია - (თსუესს სამუშაო დოკუმენტების სერია);
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებისათვის განხორციელებული ღონისძიებები (საქაღალდე 15: დანართი 40);
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მექანიზმები - დეტალური ინფორმაცია იხილეთ აკადემიური პერსონალის გზამკვლევში, გვერდი 6 (საქაღალდე 15: დანართი 32);
- ინტერვიუს შედეგები.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები: არც ერთი

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არც ერთი

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს ISET-ის 7-სართულიანი შენობა, რომელიც ზანდუკელის ქ. N16-ში მდებარეობს. შენობა 2018 წელს გარემონტდა, აუდიტორიები კეთილმოწყობილია, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, ახალი ავეჯით და სხვ.

სტუდენტებს ხვდებათ ნათელი და კეთილმოწყობილი აუდიტორიები, თანამედროვე კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა, პროფესორის ოთახი, სტუდენტური თვითმმართველობის სივრცეები, აკადემიური პერსონალის შვიდი ინდივიდუალური ოფისი, საერთო ოფისი ინგლისური ენის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისთვის, სინქრონული თარგმანის ოთახი და საკონფერენციო დარბაზი, რომელიც 75 სტუდენტს იტევს. შენობაში ასევე არის მრავალკაბინიანი სველი წერტილები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და ცალკე, კეთილმოწყობილი გარე სივრცეები მაგიდებითა და სკამებით სტუდენტებისთვის. ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს სტუდენტებისთვის აღჭურვილი ლაუნჯ-ოთახები, რომლებიც აღჭურვილია კომფორტული ავეჯით, პინგ-პონგის მაგიდით, სკამებითა და ტელევიზორით.

ყველა სართული აღჭურვილია კონდიციონერით, ინტერნეტითა და ვიდეოთვალებით. ექსპერტებმა დაათვალიერეს პირველი სართული, რომელიც მოიცავს საევაკუაციო კარებს. კორპუსს ემსახურება ორი ლიფტი.

ISET -ს ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის კვირაში ექვსი დღე და აღჭურვილია კომფორტული ავეჯითა და საკითხავი მაგიდებით. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეამოწმეს სილაბუსებით გათვალისწინებული წიგნები. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კურსების წიგნებითა და მეთოდოლოგიური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ასევე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების რიდერებით. უცხოენოვანი სასწავლო მასალები, მათ შორის ელექტრონული სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები წარმოადგენს როგორც სავალდებულო, ისე დამხმარე ლიტერატურას ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით. ISET-ის სტუდენტები სწავლისა და პროექტზე მუშაობისას ხშირად ეყრდნობიან მონაცემთა ადგილობრივ წყაროებს, ღია წვდომის პლატფორმებს და ფაკულტეტის მიერ მიწოდებულ მონაცემებს. აღნიშნული დამოკიდებულობა ადგილობრივ მონაცემებზე ზღუდავს მათ წვდომას გლობალურ მონაცემთა ბაზებიდან უფრო ყოვლისმომცველ და რეალურ დროში საერთაშორისო ფინანსურ მონაცემებზე.

ISET, ყველა ლექტორთან და სტუდენტთან ერთად, სარგებლობს თსუ-ს ბიბლიოთეკის რესურსებით, რომელიც მან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისაგან მიიღო. Elsevier-სა და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის დადებული ხელშეკრულება სრულად აფინანსებს Elsevier-ის კონსორციუმის მონაცემთა ბაზაზე შეუზღუდავ წვდომას. კონსორციუმის წარმომადგენლებს აქვთ წვდომა Elsevier-ის რესურსებზე: Scopus, Science Direct და Scival, მათ საშუალებას აძლევს გამოიყენონ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის მსოფლიოს უახლესი ლიტერატურაა.

ელექტრონული კატალოგი Koha, ISET-ის კომპიუტერული ქსელის მეშვეობით, უზრუნველყოფს ონლაინ ბიბლიოთეკის წვდომას ათასობით წიგნზე, პუბლიკაციასა და ჟურნალზე. სკოლაში ხელმისაწვდომია ისეთი ელექტრონული ჟურნალების გამოწერა, როგორიცაა EBSCO, EconPapers, Cambridge University Press, The Oxford English Dictionary... აღსანიშნავია, რომ ამ მონაცემთა ბაზებზე წვდომა შესაძლებელია არა მხოლოდ უნივერსიტეტიდან, არამედ გარედანაც.

სტუდენტების ინფორმირებულობის ამაღლებისა და სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვის მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პორტალი Moodle. ამ ვებგვერზე წვდომა აქვთ როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ პერსონალს. ამ სისტემების მეშვეობით სტუდენტები ეცნობიან სასწავლო ცხრილს, გამოცდების განრიგს, სილაბუსებს და ა.შ. მისი მეშვეობით ხდება აკადემიურ პერსონალთან კონტაქტი. სტუდენტები ასევე იღებენ ინსტრუქციებს სასწავლო პორტალ Moodle-სა და ISET-ის ელექტრონული ფოსტით სარგებლობის შესახებ. უნივერსიტეტს ჰყავს სამი სპეციალისტისგან შემდგარი IT გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული სერვისების მხარდაჭერას. სტუდენტების ნაშრომებში პლაგიარიზმის შესამოწმებლად გამოიყენება Turnitin-ის სისტემა.

2020 წლიდან აკადემიურ პერსონალს უწყვეტი წვდომა აქვს Microsoft Office 365-ზე რაც მათ ლიცენზირებული პროგრამებით სარგებლობის საშუალებას აძლევთ. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა წარმოადგინა იმ ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის სია, რომელიც აქტიურად გამოიყენება ISET-ში. აგრეთვე, დაცულია მონაცემთა შენახვის საიმედოობა და კიბერუსაფრთხოების ზომები. სერვერის ოთახი განთავსებულია პირველ სართულზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის შენობა და აუდიტორიები (ზანდუკელის ქ. N16);
- უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების ჩამონათვალი;
- სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ელექტრონული სისტემა;
- ინტერვიუს შედეგები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.
- ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის სია, რომელიც აქტიურად გამოიყენება ISET-ში:
- ISET-ს ბიბლიოთეკის გვერდი - https://iset.tsu.ge/index.php/who-we-are/iset/about-us#Library

- ISET -ს ბიბლიოთეკის კატალოგი
- ინფორმაცია ISET-ის ბიბლიოთეკაში განთავსებული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ლიტერატურის შესახებ

რეკომენდაციები: არც ერთი

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

4.4.2 4.4.1

4.4.3 როგორც საერთაშორისო პროგრამას, სასურველია ჰქონდეს გაუმჯობესებული წვდომა საერთაშორისო ფინანსურ მონაცემთა ბაზებზე, როგორიც არის Bloomberg ან Refinitiv, რათა გადაიჭრას ამჟამინდელი დამოკიდებულება მხოლოდ ადგილობრივ მონაცემთა წყაროებზე წვდომის და ყოვლისმომცველ საერთაშორისო მონაცემების ანალიზზე შეზღუდული წვდომის საკითხი.

-

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის წლიური ბიუჯეტი წარმოადგენს სკოლის მთლიანი ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს არის ფაკულტეტის და თსუ-ს ბიუჯეტის ნაწილი. ექსპერტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პროგრამის მდგრადობისათვის, ISET ყოველი წლის ბოლოს აახლებს მომდევნო ხუთი წლის ბიუჯეტის პროგნოზს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ბიუჯეტი, პირველ რიგში, ფინანსდება სტუდენტების გადასახადებით, რომელიც ერთ სტუდენტზე 8800 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, პროგრამა ყოველწლიურ შემოსავალს იღებს სკოლის დამფუძნებელი ამერიკული ორგანიზაციისაგან "პარტნიორობა ეკონომიკური განათლებისა და კვლევისათვის" (PEER), თსუ-სა და PEER-ს შორის შეთანხმების საფუძველზე.

უმაღლესი სასწავლებლებმა წარმოადგინა 2024 წლის დეტალური ჩაშლილი ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია როგორც შემოსავლები, ისე ხარჯები. ძირითადი ხარჯები მოიცავს:

- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასებს
- მგზავრობის ხარჯებს
- წარმომადგენლობით ხარჯებს
- წამყვანი მკვლევარების ხელფასებს
- მარკეტინგის ხარჯებს
- ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს
- სასწავლო მასალებსა და ტექნიკური რესურსებს
- სხვა ოპერაციულ ხარჯებს

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პროფესიულ და შრომით ბაზარზე ISET-ის მიერ მოთხოვნილი აკადემიური პერსონალის კომპენსაცია ხასიათდება უფრო მაღალი ანაზღაურების საჭიროებით. ეს პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ პერსონალი, შედგება უცხოეთში განათლებამიღებული და ინგლისურენოვანი სპეციალისტებისგან.
სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუში ხაზგასმით აღინიშნა, რომ პირველ წელს 22 სტუდენტით გეგმავენ დააბალანსონ ხარჯები და შემოსავალი . ხოლო მომდევნო წლებში ისინი მიზნად ისახავან გაზარდონ სტუდენტების რაოდენობა 30-მდე პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად; . ასევე გეგმავენ დამატებითი სტუდენტების მოზიდვას უკვე პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად.

თუმცა, სტუდენტთა ამ რაოდენობის მისაღწევად აუცილებელია მეტი სტუდენტის მოზიდვა. ზემოაღნიშნულის მისაღწევად საჭიროა მარკეტინგული და სხვა აუცილებელი ზომების გატარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტები;
- ინტერვიუს შედეგები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები: არც ერთი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

4.5.2 4.5.1

4.5.3 სტუდენტების ჩარიცხვის საჭირო დონის მიღწევისა და ბიუჯეტის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია მეტი სტუდენტის მოზიდვა, მარკეტინგული აქტივობების განხორციელება, სოციალური მედიის პლატფორმების გამოყენება და სხვა აუცილებელი სარეკლამო სტრატეგიების განხორციელება.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, მომსხურებებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფოკუსირებულია ყოველწლიურ გამოკითხვებზე, რომელშიც შეფასების შედეგების გასაანალიზებლად, ეფექტური მონიტორინგის შესანარჩუნებლად, მიზნების იდენტიფიცირებისა და განვითარების ტენდენციების პუნქტებად გადმოსაცემად, ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასების და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროგრამის შეფასება უნივერსიტეტში თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები, როგორც წესი, გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინაციას ახორციელებენ უნივერსიტეტის ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. ვინაიდან ISET -ს აქვს გარკვეული დამოუკიდებლობის ხარისხი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ, ყველა

შესაბამის შიდა პროცესს ხელმძღვანელობენ ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები. გარდა ამისა, ISET-მა დანერგა აკადემიური კომიტეტისა და საერთაშორისო აკადემიური საბჭოს პრაქტიკა. ორივე მათგანი ჩართულია აკადემიური საკითხების - შინაარსისა და პროცესების მონიტორინგში. თსუესს-ის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები პასუხისმგებელნი არიან სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფაზე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებასა და რეკომენდაციების შემუშავებაზე, შესაბამისად, პროგრამების თვითშეფასების პროცესის კოორდინაციაზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებულია უზრუნველყოს მაღალი ხარისხის პროგრამები სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებით, დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი ჩართულობის ხელშეწყობით, სისტემური მონიტორინგის განხორციელებითა და შედეგების შემდგომი განვითარების შესაძლებლობების გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა უზუსტობა სასწავლო გეგმასა და პროგრამა "ფინანსების" დარგობრივი მახასიათებლების განაცხადს შორის. მაგ., დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი "ფინანსების" საგანმანათლებლო პროგრამებში უნდა იყოს არანაკლებ 5 ECTS. ამგვარად, მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის გუნდთან ერთად მონიტორინგი გაუწიოს პროგრამას გარე მოთხოვნებისა და დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, რათა გააძლიეროს პროგრამის უწყვეტი განვითარების შეუფერხებელი და ეფექტური განხორციელება PDCA პრინციპის ფარგლებში.

ISET -ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფას შეფასების კონსტრუქციულ პროცესი; შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მომზადებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა ინტერვიუების დროს დაადასტურეს მჭიდრო არაფორმალური თანამშრომლობა პროგრამის ხელმძღვანელთან, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა თვითშეფასების და პროგრამის შემუშავების პროცესებში მათი ჩართვის სტანდარტიზებული მექანიზმის არარსებობა. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ თვითშეფასების პროცესმა და სამუშაო ჯგუფში შესაბამისი დავალებების გადანაწილებამ უზრუნველყო შეფასების პროცესში გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირება, ისევე როგორც მომავალი განვითარების შესაბამისი შესაძლებლობები.

აუცილებლობაზე დაფუძნებული და საჭიროების შეფასების გამოკითხვები გამოიყენება ხარისხის შიდა შეფასების პროცესებში პრობლემების მიზანმიმართული იდენტიფიკაციისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად ინტერვენციების უზრუნველსაყოფად. სწავლების ხარისხის შეფასება ტარდება წელიწადში სამჯერ, ყოველი ტრიმესტრის ბოლოს. ეს გამოკითხვები მიზნად ისახავს სტუდენტების კმაყოფილების, საჭიროებებისა და სურვილების იდენტიფიცირებას. სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები ასევე ტარდება პროგრამის ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დადებულება
- ISET -ის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები
- შიდა და გარე შეფასების პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- მოხსენებები თსუესს-ის კმაყოფილების კვლევის შედეგების შესახებ
- პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები: არც ერთი

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

5.1.3 სასურველია, შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფორმალიზებული სტრუქტურა პროგრამის უწყვეტი განვითარების პროცესებში.

5.1.4 სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის გუნდთან ერთად განახორციელოს პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი დარგობრივ მახასიათებელთან და გაითვალისწინოს დარგთან დაკავშირებული სხვა ტენდენციები, იმისათვის, რომ გააძლიეროს პროგრამის უწყვეტი განვითარება და შეუფერხებელი და ეფექტური განხორციელება PDCA ციკლის ფარგლებში.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსუ-სა და ISET-ში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების მეშვეობით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები ISET-ში განიხილავენ რეკომენდაციებსა და რჩევებს და დასკვნებს აცნობებენ პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი განხილვისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან. პროგრამა ასევე აქტიურად იყენებს დამსაქმებლებისგან მიღებულ შეფასებებსა და უკუკავშირს, და ადგილობრივი და/ან საერთაშორისო ექსპერტების კოლეგიალურ მიმოხილვებს.

როგორც საერთაშორისო სკოლა, ISET თავისი პროგრამებისათვის პრიორიტეტს ანიჭებს საერთაშორისო აკრედიტაციას. 2021 წლის ივნისში სკოლამ მიიღო FIBAA აკრედიტაცია ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, რომელიც მოქმედებს 2026 წლამდე. სკოლის ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ მათ ისარგებლეს რეკომენდაციებით და გაუმჯობესების შესაძლებლობებით ეკონომიკაში არსებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, თუმცა ეს რეკომენდაციები ღირებული აღმოჩნდა ფინანსების სამაგისტრო პროგრამისთვისაც; სკოლა ასევე გეგმავს მომავალში საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებას FIBAA-სგან ფინანსების სამაგისტრო პროგრამისათვის.

ფინანსების სამაგისტრო პროგრამამ ახლახან მიიღო CFA ინსტიტუტის აფილირება. „უნივერსიტეტის აფილირების პროგრამის განაცხადის განხილვის დოკუმენტის“ თანახმად, CFA-ს ოფიციალურმა პირებმა დადებითად შეაფასეს პროგრამა და მიაჩნიათ, რომ სასწავლო გეგმის კავშირი CFA პროგრამასთან ძალიან ძლიერია და აკმაყოფილებს აფილირების მოთხოვნებს. წარდგენილმა დოკუმენტაციამ
და ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის გუნდმა განიხილა CFA ინსტიტუტიდან მიღებული უკუკავშირი და ჩართული იყო პროგრამის განვითარების შესაძლებლობების განხილვაში, რაც ასევე დაადასტურა თვითშეფასების ჯგუფმა სამუშაო პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დადებულება
- შიდა და გარე შეფასების პოლიტიკა
- ISET -ს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები
  გამოკითხვის ფორმები და შედეგები

- პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები
- უნივერსიტეტის აფილირების პროგრამის განაცხადის განხილვის დოკუმენტი
- ანალოგური პროგრამების ანალიზი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები: არც ერთი

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არც ერთი

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.2. გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას. შეფასება და შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს. პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებია და დამსაქმებლების გამოკითხვები წარმოადგენს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის განხორციელების ცენტრალურ ინსტრუმენტს. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე ხდება ფოკუს ჯგუფების ორგანიზება. კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გასაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, ეფექტური მონიტორინგის პროცესის უზრუნველსაყოფად. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ყოველი სემესტრის ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგს უწევს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს იყენებს საგანმანათლებლო პროცესების გასაუმჯობესებლად. პროგრამის განხორციელების შემდეგ, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში განსაზღვრული მიზნობრივი ინდიკატორები ასევე განხილულ იქნება პროგრამის სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ინდიკატორად. კოლეგიალური შეფასება „აკრედიტაციის სიმულაციის“ ფორმატში არის ერთ-ერთი გავრცელებული ინსტრუმენტი სასწავლო გეგმის, სერვისებისა და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის შესაფასებლად.

თსუ-ში არსებული პრაქტიკის გარდა, თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა სტრატეგიულ დოკუმენტში (OGSM) მოიცავს მთელ რიგ მნიშვნელოვან კრიტერიუმებს საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი მახასიათებლებისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ. სკოლას გააჩნია სასწავლო წლის შუა პერიოდში (იანვარში, შუალედური შედეგები) და სასწავლო წლის ბოლოს (ივლისში, საბოლოო შედეგები) OGSM-ის მიერ განსაზღვრული წლიური მაჩვენებლების მიღწევის მონიტორინგის პრაქტიკა. ეს შედეგები წარედგინება და განიხილება საერთაშორისო

აკადემიური საბჭოს მიერ და შესაბამისი დასკვნები გამოიყენება მონიტორინგის პროცესში მიზანმიმართული ცვლილებებისათვის.

პროგრამა სარგებელს იღებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პრაქტიკისაგან, რაც ხელს უწყობს პროგრამის ინდივიდუალიზმს, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და უზრუნველყოფს პროგრამის პერსონალსა და საერთაშორისო კოლეგებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულების პლატფორმას. ვინაიდან პროგრამა ორიენტირებულია CFA კურიკულუმზე, პროგრამის გუნდმა სამიზნე ნიშნულად აირჩია CFA ინსტიტუტთან აფილირებული პროგრამები ფინანსებში, როგორიცაა კემბრიჯის უნივერსიტეტის ფინანსების მაგისტრის, ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტროს, სან დიეგოს კალიფორნიის უნივერსიტეტის და ლესტერის უნივერსიტეტის ფინანსებში მეცნიერების სამაგისტრო პროგრამები. სამუშაო ჯგუფი გაეცნო პეპერდინის უნივერსიტეტის ანალოგურ პროგრამას - გამოყენებითი ფინანსების სამაგისტრო პროგრამას. მიუხედავად არსებითად საერთო კურსებისა და მთლიანი სასწავლო პროგრამის შესაბამისობისა დარგის საუკეთესო პრაქტიკასა და ტენდენციებთან, "ფინანსების" პროგრამა ასევე მოიცავს ქართული კონტექსტის ცალკეულ კურსებსა და სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დადებულება
- შიდა და გარე შეფასების პოლიტიკა
- ISET -ის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები
- უნივერსიტეტის აფილირების პროგრამის განაცხადის განხილვის დოკუმენტი
- ანალოგური პროგრამების ანალიზი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები: არც ერთი

რჩევები პროგრამების განვითარებისათვის არც ერთი

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და	☒	☐	☐	☐

პერიოდული შეფასება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (თსუესს)
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ფინანსები, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური)
პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ანუ ანა ჯოსანი
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების
სოფიო ხუნდაძე

მაია ჯინჭარაშვილი

თამთა ცხოვრებაძე